

2202

F 26  
1864

ГРУЗИНСКІЙ

ДУХОВНЫЙ ВѢСТНИКЪ.

1864.

ОКТАБРЬ.



საქართველოს

სახელმწიფო მახარებელი.

აგრომბელი.

ჩუბინაძე.

ТИФЛИСЪ.

ВЪ ТИПОГРАФИИ А. ЭНФИДЖИАНЦА и К-о.



## ПОДПИСКА

НА

## „ГРУЗ. ДУХ. ВПЬСТНИКЪ“

продолжается.

Журналъ издается съ Юля 1864 года, по утвержденной Свя-  
тѣйшимъ Синодомъ программѣ.

Подписка принимается въ редакціи сего журнала, при Тифлис-  
ской духовной семинаріи, на имя редактора. Цѣна за годовое из-  
даніе журнала, т. е. за 12 кн., съ доставкою на домъ и пересылкою  
во всѣ города. 5 р. сереб., безъ доставки и пересылки—4 р. с.;  
за одни прибавленія на русск. яз.—1 р. с.

---

ხელის-მწერსა ყუჩხაღბედ მიიღება ტფილისის სემინარიაში, რედაქ-  
ტორის სახელზედ. ფასი წლის ყუჩხაღისა, ესე იგი 12 წიგნისა, შინ  
მიტანით და სხუა ქუჭყენებში გაგზავნით ხუთი მანეთი; მიუტა-  
ნელად და გაუგზავნელად ოთხი მან., მარტო რუსულისათჳს ერთი  
მანეთი.

---




გვებოთ: «ესე არს ცხოვრება საუკუნო, რათა გიცოდ-  
დენ შენ მხოლო ჭეშმარიტი ღმერთი»—ბრძანა უფალ-  
მან იესო ქრისტემან მამისა თვისისა-თჳს, როდუ-  
საც მორწია ჟამი დიდებად მისა (იოან. თ. 17, მ.

3). ამისგან სჩანს, რომ უცნობელობა ღმერთისა ერ-  
თად, ანუ ცნობა და თაყუანის-ცემა მრავალ-ღმერთაბი-  
სა არის წარწყმედა საუკუნო; ამისთჳს რომ, სიტ-  
უვისა-ებრ ჰავლუ მოციქულისა, ჩუწნდა ერთ-არს ღმერ-  
თი, რომლისგან არს უოუელი, და ერთ-არს შუა-

† მდგომელი ღმერთისა და კაცთა, იესო ქრისტე (1 კორ.  
თ. 8, მ. 6; ეფეს. თ. 4, მ. 6; 1 ტიმოთ. თ. 2, მ. 5).

78

ერთ - ღმერთების სრულ-მცნობელნო და აღმსარე-  
ბელნო, ერნო ქრისტიახენო! თაყუანის-ცემით  
და გამსახურეთ უოუელითა გულისთა და უოუელითა  
სულისთა ჩუწნითა ერთსა მხოლოდ ღმერთსა —  
წმიდასა სამებასა; და ნუ გკაცთენს თაყუანის-ცე-  
მად და მსახურებად ნუ რა რაჲ ქუწყნიერი. მაკალი-  
თებრ: ამხარტავანი თაყუანის-სცემს, კბიებს და მსახუ-  
რებს დღე და ღამე დიდების-მოყურებასა, და რწმუ-  
ნებულსა მისდა მსახურებასა სრულებს არა სასიამოვნოდ  
ღმერთისა და სასარგებლოდ მოყურისა ანუ საცხოვრებელად  
სულისა თვისისა, არამედ მოსაზრებელად ქებისა და  
პატივისა, ჩინისა და კაკაღერისა; თულის მოყურე  
მსახურებს და თაყუანის-სცემს უკანასკნელსა წულილსა,





რომელ-აწს კ ა ზ ე ი კ ი, და ცოტა მოდიდო უსატრთია-  
 ლეს და უძვირთასეს აწს მისთვის იერუსალიმის ტაძ-  
 რისა და თუთ ზეტისა სასუფეველისა; მუცლის მოყ-  
 უარესა-თვს მსახურება და კერპი აწის სასმელი და  
 საჭმელი და მარადის ზრუნვა და ძიება მათი: ესრეთი  
 ვატი აწ დაიზარებს ეკლესიად მისკლასა ნამეტნავად  
 ტაძრის დღესასწაულს დღეს, ანუ მაშინ, როდესაც  
 ეკლესიების იქ ხორციელი ნუგეში და საზრდელი გინა  
 სადილი და ზაკუსვა, და გამოაჩენს თავსა თვისსა ერთ-  
 გულ, მლოცვად და ჰატვიის-მცემელად ღმთისა, რა-  
 თამცა იშოვნოს მიზეზი სადილობად და გინძღობად  
 მუცლისა; მეძაკი, შემრუშე და აწა-წმიდა მსახურებს და  
 თაუჭანის-სტემს იმა აწსებათა, რომელთანაცა შეიძლე-  
 ბა აღსრულება ამ საძაგელი ცოდვებისა, და სხ .. ნუ  
 იქმნების ჩუწნ შორის ესე, აწამედ წმიდის გულით  
 თაუჭანის-კსტეთ ერთსა მხოლოდ ღმერთსა, და ქუწყ-  
 ნიერი ყოველი—წესიერი და კონონიერი მოკვეცვის  
 და შეკვეძინების ჩუწნ!

§ 24. ხოლო საზოგადოდ ღმთის თვისებათა-  
 თვს უნდა ვსთქუათ, რომ როგორც ღმერთი აწის  
 ჩუწნთვს მიუწდომელი, გამოუკვლეველი და კარე-  
 შემოუწერელი, ეგრეთვე თვისებანი მისნი არიან  
 ძნელად საცნობელნი და აურაცხელნი. წმიდანი მა-  
 მანი იტყვიან: უადვილეს აწს აღრაცხვა ზღვის ქვი-



მისა და ვარსკვლავთა ცისათა, ვიდრე ღმერთის თვისებათა. ამისთვის ჩუენ ვახსენეთ და საჭიროებისა-  
ებრ განვმარტეთ მხოლოდ ის თვისებანი ღმერთისა,  
რომელნიცა უფრო ხშირად იხსენებნან საღმრთო წე-  
რილში და რომელთაცა ცნობა უფრო საჭირო არის  
ყოველი ქრისტიანისათვის. ამასთანავე ესეც უნდა  
ვიცოდეთ, რომ ყოველნი თვისებანი ღმერთისანი არი-  
ან მას შინა დატევნილნი და შეერთებულნი ერთმან-  
ერთისათანა ეგრეთვე საგუიროვლად და მიუწოდებლად  
ჩუენდა, გარნა სრულიად თანასწორად ერთმან-ერთისა  
და თანახმად; მაგალითებრ: მართლ-მსაჯულება ღმერთ-  
სა არ არის წინააღმდეგი სახიერებისა და კაცთ-  
მოუწარმებისა მისისა; მრისხანება მისი მოქმედთა  
ზედა უსჯულთებისათა ვერა აწარმოებს მას შინა ვე-  
რა-ვითარსა ცუდილებასა ვინა შერყევასა; ყოველგან-  
მყოფობა მისი არა შეიწროვდება და არცა დაბრკოლ-  
დება მისგან, რომ ის არის განმორებული ცოდვილ-  
თაგან, და ხსუნანი.—სარწმუნოებით მხოლოდ მივსწუ-  
დებით ჩუენ ამათ ყოველთა, და არა ცნობით ანუ  
განჩევით წარმოდგენით გონებაში, როგორც კვიმ-



ტოცებს შემდგომი მოთხოვნა ესე. ნეტარი აგვისტი-  
ნე იყო დიდად მეცნიერი კაცი და ღრმა ღუთისმე-  
ტყველი, და ბევრს ფიქრობდა ამისთვის—უნდოდა  
როგორმე ცხადად წარმოედგინა თავის კონებაში ღუთი-  
სა მისი ბუნებით და თვისებითურთ; მაგრამ ყოველი  
შრომა მისი ამახედ დარჩა უქმად და უსარგებლოდ.  
ერთს დროს, როდესაც ის დადიოდა ზღვის პირსედ  
და იყო ძლიერ დაფიქრებული თავის საგნისა-თვის,  
ნახა მან მძვენიერი ემაწვილი, რომელიცა იღებდა  
ჰემპითა წყალსა ზღვიდგან და ასხამდა ჰატარს ხვრელ-  
ში; განკვირებულმან აგვისტინემ ჰკითხა, თუ რასა  
იქმს ემაწვილი იგი, და მან უპასუხა: « მე მსურს,  
რომ ეს მთელი ზღვა ჩავცალო ამ ჰატარს ხვრელში »; აგ-  
ვისტინემ შერაცხა ეს პასუხი და მოქმედება ჩვეუ-  
ლებრივ ემაწვილურ ეძმაკობად და უგონობად; მაგ-  
რამ მსწრაფლად მიიღო მისგან მეორეცა განსაცვიფ-  
რებელი პასუხი ესე: « უადვილეს არს ჩაცლა მთე-  
ლი ზღვისა ამ ჰატარს ხვრელში, ვიდრე შენი კო-  
ნებისაგან მიწოდება და დატევნა ღუთაებისა »,—და  
ამასთანავე გაჰქრა ის ემაწვილი. ამისგან სცნა ნე-



ტარმა აკვირებინებ, რომ ჩვენება ესე იყო მისთვის—  
და დასცხრა თავის უჯერო და ღუთის წინააღმდე-  
გის სურვილისა და განზრახვისაგან ; ამისგან ვსცნობთ  
ჩუქნცა, რომ არა შესაძლებელი არს და არცა სა-  
ჭირო კაცისა-თვის ცხადად და სრულებით ცნობა  
ღუთისა, და მისი თვისებისა: თორიად საკმაო არის  
ჩუქნთვის გულის-ხმის-ყოფა მისა, რადცა გამოგვიც-  
ხადა ჩუქნ თვთ ღმერთმან საღმრთო, საეკლესიო და  
წმიდათა მამათა წერილებში.



## დ ა მ ა ტ ე ბ ა

ნამდვილად განჩევისა-თჳს ღუთაების ჰირთა ანუ ჰირებისა-თჳს (ესე იგი საკუთარ ჰირად მუოფობისა-თჳს) მამისა, მისა და წმიდისა სულისა.

§ 25. ზემორე ამისა მეექვსე ჰარაგრაფში (§ 6), ჩუზნ ვახსენეთ მოკლედ, რომ ღმერთი არის ერთი ბუნებითა და ღუთაებითა, და განჩევსა და განსხვაუდება ჰირებითა ანუ კვამოვნებითა, და ამათი თვისებითა. ესრეთ უნდა გვრწამდეს და გვრწამსცა ეოველს მართლ-მადიდებელს ქრისტიანს.—მაგრამ იუვენე ქრისტიანენი, რომელნიცა ამბობდენ, რომ ღმერთი არის მხოლოდ ერთი ჰირიო, და არა სამიო,—და მამა, ძე, და სული წმიდა არიან მხოლოდ სამნი სახენი და სახელნი ერთისა და იმავე ღუთაების ჰირისაო და კამოუჩნდენ სოფელსა სხუა-და-სხუა სახითაო, ესე



იგი—ხან მარტო მამად, ხან ძედ და ხან სულად  
 წმიდადო. (\*) ამისთვის საჭირო არის სწორედ და  
 მართლად იცოდეს ეოველმან ქრისტიანმან: ნამდვი-  
 ლად სამნი არიან ჰირონი ღუთაებისანი, თუ ერთი,  
 მსგავსად ზემო-თქმულთა,—და ერთი და იგივე ჰირონი  
 მოქმედებს სხუა-და-სხუა სახითა, ძალითა და მნებე-  
 ლობითა, და ამის-გამო იწოდება ღმერთი ხან მა-  
 მად, ხან ძედ და ხან სულად წმიდად ?

§ 26. დასამტკიცებულად და ასახსნელად ამისა  
 უნდა ვსთქუათ და ცხადად გავიგოთ: რა არის ჰირონი,  
 ანუ საკუთრად—ჰირონიდ მყოფობა ? ჰ ი რ ი ნ ი დ ი წ ი დ ე -  
 ბ ა გ ო ნ ი ე რ ი (\*\*\*) და თავისუფალი გინა საკუთრად

---

(\*) მაგალითებრ: ს ჯ მ რ ნ მოგვი ასწავებდა, რომელ მამა, ძე და  
 სული წმიდა არიან მხოლოდ სხუა-და-სხუა სახე და გამორჩენა ერთისა  
 და იმავე ჰირონისა, და ერთი ღმერთი გამოუჩნდა მამად სამარტულ-  
 თაჲ, ძედ-ურჩებთაჲ, და სულად წმიდად—წარმათთაჲ. ს ა ბ ე ლ ი რ ს ი  
 ასწავებდა, რომ მამა, ძე და სული წმიდა არიან მხოლოდ სამნი  
 სახელნი, ანუ სამნი მოქმედებანი ერთისა და იმავე ჰირონისა—ღუთისა  
 ყუძნ-თჳს განხორციელებულისა და მომკჳდარისაჲ. ესრეთნივე იყვნენ  
 უკეთურნი სწავლანი ჰრესეიასი, ნოეტისა, ჰაულე სამოსატელისა, მარ-  
 გელ ანგიროელისა, და სხუათა მრავალთა.

(\*\*) უგონო არსება გინა ჰიროტევი არა იწოდება ჰირონიდ.



მეოფი არსება, რომელსაცა აქუს თავის საკუთარი გონება, მნებელობა და მოქმედება, და მსგავსნი ამათნი, რადთაცა განიჩევა ანუ განსხვავდება იგი მეორისა ჰირისაგან. მაგალითებრ: წარმოვიდგინოთ სახეში ორი კაცი. თუთოეული მათგანი არის ჰ ი რ ი საკუთრად მეოფი,—ამისთვის რომ თუთოეულსა აქუს საკუთარი გონება, მნებელობა, მოქმედება და სხუანი, რადთაცა იგი განიჩევა და განსხვავდება მეორისა და მესამისა ჰირისაგან,—და ამასთანავე თუთოეულსა მათგანსა აქუს ერთი ბუნება, ერთი შობა, ერთი ცხოვრება, და ერთი აღსასრული: ეს არის სასოგადო კუთვნილება ყოველი კაცისა.—ხოლო შესახებელად ღუთისა ჩუწნ უნდა ვსთქვათ შემდგომი. თუ თუთოეულსა ჰირსა წმიდისა სამებისასა აქუს საკუთარი სახელი, საკუთარი გონება, მნებელობა, მოქმედება და სხუანი; მაშასადამე თუთოეული მათგანი არის ჰირი განთვისებული და განჩეული მეორისა და მესამისა ჰირისაგან, და არა ერთი და იგივე. ხოლო უკეთუ თუთოეულსა მათგანსა აქუს ერთი ბუნება, ერთი გონება, ერთი მოქმედება, ერთი მეუფე-



ბა და სხუანი,—ამისგან სჩანს, რომ თუთოეული მათგანი არის ღმერთი; გარნა არა სამნი ღმერთნი, არცა სამნი უფალნი, არამედ ერთი ღმერთი და ერთი უფალი, სამ-პიროვნად ცნობილი და ერთ-არსებად თაუჭანის-ცემული. ესრეთ გამოგვიცხადა ჩუენ მღერთმან თავის არსება და პიროვნება, და ესრეთ გვასწავებს მარადის საღმრთო წერილი, თუ არა შევსცვლით ჭეშმარიტსა აზრსა მისსა და არა განვრყუნით წმიდა ეკლესიის და ღმრთის დოღმატსა (\*) ნებისა-ებრ კაცობრივისა გონებისა და წარმოდგენისა.

და ესრეთ, ამ პუნქტში ჩუენ ვაჩვენებთ საღმრთო წერილისაგან ნამდვილად გარჩევასა ღმრთაებისასა პიროვნებითა და ამასთანავე ღმრთაებასა თუთოეულისა მათგანისასა, და მერმე ერთ-არსებასა წმიდისა სამებისასა და ურთიერთისა შორის კავშირსა, ანუ შესებასა.

---

(\*) განჩუენა ღმრთის დოღმატისა არის შეცვლა ჭეშმარიტისა სწავლისა ღმრთისა-თჳს და მოგონება თაკით თვისით საძაგელისა და უშუქსა აზრისა მისთჳს. ესრეთ წმიდათა მამათა, შესამე მსოფლიო კრებაში, ნესტორის უკეთურ სწავლას ღმრთაებისა-თჳს უწოდეს « საძაგელი და განჩუენილი დოღმატი ».



პირებისა და ღუთაებისა-თჳს მ ა მ ი ს ა.

§ 27. მამა ღმერთი ნამდვილად აწის საკუთ-  
რად მეოფი პირი ღუთაებისა. ამას გვიმტკიცებს  
შემდგომნი:

1. მას ეწოდება სასელად: ღმერთი, მამა, უფალი  
და მეუფე ცისა და ქუჩუანისა: აღვიარებ შენ, მ ა -  
მ ა ო, უ ფ ა ლ ო ცისა და ქუჩუანისაო... ( მათ. თ.  
11, მ. 29); კურთხეულ-აწის ღ მ ე რ თ ი და მ ა მ ა  
უფლისა ჩუწნისა იესო ქრისტესი... ( 1 პეტრ.  
თ. 1, მ. 3); მადლი უფლისა ჩუწნისა იესო ქრი-  
სტესი, და სიუწარული ღ უ თ ი ს ა და მ ა მ ი ს ა...  
მოვიდრეკე მუხლთა ჩემთა მ ა მ ი ს ა მიმართ უფლისა  
ჩუწნისა იესო ქრისტესა... ( 2 კორ. თ. 13, მ.  
13; და ეფეს. თ. 3, მ. 14-15).

2. მას აქუს მიწერილი ისრეთნი თვისებანი  
და კუთვნილებანი, რომელნიცა ცხადად აჩვენებენ  
და აბტკიცებენ საკუთრად-პირად მეოფობასა მისსა, ესე  
იგი: გონება ანუ ცნობა, ნება, სიუწარული, ძლიერება  
და მოქმედება. მაგალითებრ, ც ხ ო ვ რ ე ბ ა: «ფითარცა



იგი მამასა აქუს ცხოვრებათა თავისა თვის-  
 სა-თანა, ეგრეცა მესა მოსცა რათა აქუნდეს ცხოვ-  
 რება თავისა თვისა-თანა » (იოან. თ. 5, მ. 26;  
 შესძინე ეგრეთვე თ. 6, მ. 57). გონება: «იცის  
 მამამან თქუნდნან ზეცათამან (\*) რა  
 გიხმს ამათ უოველთაგანი; არაუინ იცის მედ გარნა  
 მამამან » (მათ. თ. 6, მ. 32; შესძინე თ. 11,  
 მ. 27) ნება და სიუჟარული: «ჰე მამ-  
 მათ, რამეთუ ესრეთ სათნო იყო შენ წინაშე »  
 (მათ. თ. 11, მ. 26); «გარდამოვსედ ზეცით, არა  
 რათა ვჰყო ნება ჩემი, არამედ ნება მომავლინე-  
 ბელისა ჩემისა მამისა » (იოან. თ. 6, მ. 38);  
 «მამასა უეჟარს მე, და უოველსა ვე  
 უხვენებს მას » (იოან. თ. 5, მ. 20); «ესრეთ შე-  
 იუჟარა ღმერთმან სოფელი ესე, ვითარმედ მე-  
 ცა თვისი მხოლოდ-მობილი მოჰსცა მას » (იოან.  
 თ. 3, მ. 16). ძლიერება და მოქმედება:

---

(\*) ქათულს სახარებაში სწერია მარტო: «მამამან თქუნდნან, — ზე ზეცათამან არ არის, ხოლო ბერძულში სამღვილოდ არის ეს სიტყუა ზე აჰისთუს ბერძულ-  
 ლის თანახმად გასწორდა აქ ეს ტექსტი



« მ ა მ ა ჩემი მოაქამოდე იქმს, და ძეცა ვიქმ; მ ა-  
მ ა ჩემი უფროს ეოველთასა არს » ( იოან. თ. 5, მ.  
17; და თ. 10, მ. 29 ).—ეს მუხლები საღმრთო  
წერილისა ამტკიცებენ ჰირებასა და ღუთაებასა არს  
მსოფლოდ მამისასა, არამედ მისაცა; მაგრამ ამისთვის  
უნდა ითქუას კიდევ განსაკუთრებით ამ წინამდებარე  
ჰარავრათში.

---

ჰირებისა და ღუთაებისა-თვის მ ა მ ა .

§ 28. მე ღუთისა წამდვილად არის საკუთარი  
ჰირი ღუთაებისა და ჭეშმარიტი ღმერთი და უფა-  
ლი. ამას გვიტკიცებს შემდგომი:

1. ის იწოდება მედ ღუთისად და მემკვიდრედ ,  
ღმერთად და უფლად. მაგალითებრ: « ღმერთი ( ესე  
იგი—მამა ) ეტეოდა მამათა წინასწარმეტყველთა მიერ,  
ხოლო უკანასკნელთა ამათ დღეთა მეტეოდა ჩუენ  
მ ი ს ა მიერ თვისისა, რომელი იგი დაადგინა მკვიდ-  
რ ა დ ეოველთა » ( ებრ. თ. 1, მ. 2 ); « ვიცით  
რამეთუ მე ღუთისა მოვიდა, და მომცა ჩუენ გონება,



რათა ვიცოდეთ ჩუწნ ჭეშმარიტი ღმერთი, და ვართ  
ჩუწნ ჭეშმარიტისა თანა მისა მისისა იესო ქრი-  
სტესა. ესე არს ჭეშმარიტი ღმერთი და ცხოვ-  
რება საუკუნო » ( 1 იოან. თ. 5, მ. 20 ); « უფა-  
ლი ჩემი, და ღმერთი ჩემი »—სთქუა მისთვის  
თომა მოციქულმან, როდესაც დასდვა ხელი თვისი  
გვერდსა მისსა შემდგომად აღდგომისა მისისა ( იოან.  
თ. 20, მ. 28 ).

2. მას აქუს მიწერილი ისრეთნი თვისებანი და  
კუთვნილებანი, რომელნიცა ცხადად ამტკიცებენ ებ-  
რეთვე საკუთარ ზირად მყოფობასა მისსა და ღუთაე-  
ბასა, ესე იგი: ცხოვრება, გონება, ნება, სიუჭარული,  
ძლიერება, მოქმედება, ყოვლად მეცნიერება, ღუთაე-  
ბრივი ზატვი და თაუჭანის-ცემა, და სხუანი, რაღცა  
ეკუთვნის ღმერთსა. მაგალითებრ, ცხოვრება:  
ვითარცა მოძაულინა მე ცხოველმან მამამან, მეცა  
ცხოველ-ვარ მამისა თანა » ( იოან. თ. 6, მ.  
57 ); და ზემო-თქმულიცა იგი ამასვე ამტკიცებს:  
« ვითარცა იგი მამასა აქუს ცხოვრება თავისა თუ-  
სისა-თანა, ეგრეცა მესა მოსცა რათა აქუნდეს



ცხორებთა თავისა თვისისა-თანა ». გონებთა  
და ეოვლად-მეცნიერებთა: « ვითარცა მი-  
ცის მე მამამან, ვიცი მეცა მამად; და არა უხმდა  
( იესო ქრისტეს ) რათა ჰსწამოს ვინმე კაცისა მის-  
თვის, რამეთუ მან თვთ იცოდან იყო კაცისა  
მის-თანა » ( იოან. თ. 2, მ. 25; და კიდევ: თ. 10,  
მ. 45 ). ნებთა და სიუწარული: « ხელმეწიფებ-  
ბის ( მაქუს სრული ნებთა და თავისუფლებთ ) დადუ-  
ბად სულისა ჩემისა, და ხელმეწიფების კუთლად  
მოღებად მისა; მიუწარს მე მამა, და ვითარცა  
მამცნო მე მამამან, ეგრეთცა ვჰყო; ვითარცა შემიუ-  
წარა მე მამამან, მეცა შეეკრეწარენ თქუენ »  
( იოან. თ. 10, მ. 18; და თავი 14, მ. 31; ებ-  
რეთვე—თ. 15, მ. 9 ). ძლიერებთა ანუ ეოვ-  
ლად-მემძლებელთა და ღუთაებრივი მო-  
ქმედებთა: « ვითარცა იგი მამა აღადგინებს მკუ-  
დართა და აცხორებს, ეგრეთცა მე, რომელთა ნებავს  
ა ცხორებთს; ეოველივე მის მიერ ( მისა  
მიერ ) შეიქმნა, და თვნიერ მისა არცა ერთი  
რა იქმნა, რადენი რა იქმნა; მის მიერ ( კუთლად



მისა მიერ ) და ე ბ ა და ე რ ვ ე ლ ი ვ ე ცათა ში-  
ნა და ქუჭყანასა ზედა, ხილულნი და არა ხილულ-  
ნი; და—მას უ ტ ვ ი რ თ ა ვ ნ ე რ ვ ე ლ ნ ი სიტ-  
ყუითა მით ძლიერებისა მისისათა თავისა მიერ თუ-  
სისა » ( იოან. თ. 5, მ. 21; თ. 1, მ. 3; კოლას.  
თ. 1, მ. 16—17; ებრაელთა თ. 1, მ. 3). ღუთა-  
ებრივი ზ ა ტ ი ვ ი და თ ა ე ჟ ა ნ ი ს ც ე მ ა: « რ ა-  
თა ე რ ვ ე ლ ნ ი ზ ა ტ ი ვ - ჰ ს ც ე მ დ ე ნ მ ე ს ა, ვ ი-  
თარცა იგი ზატვი-ჰსცემენ მამასა; სახელისა მიმართ  
ე ე ს რ ქ რ ი ს ტ ე ს ი ს ა ე რ ვ ე ლ ი მ უ ს ლ ი მ რ-  
ჰ ს დ რ ვ ე ს ზ ე ც ი ს ა თ ა ნ ი, და ქუჭყანისათანი, და  
ქუჭყანელისათანი » ( იოან. თ. 5, მ. 23; ფილი-  
პელთა თ. 2, მ. 10 ). — გულხმოდგინებით განმხილ-  
ველი აღნიშნულთა აქა და სსუათაცა საღმრთო წე-  
რილის მუსლებთა და განმარტებათა მათთა ნამდვი-  
ლად სცნობს, რომელ მე ღუთისა არის ჰირი გან-  
სხვაებული ღუთისა მამისაგან, განა — ჰემმარტი  
ღმერთი და სრულიად თანასწორი მამისა თუხისა.  
ამისთვის წმიდამან ქრისტეს ეკლესიამან ჰირველით-  
განვე უარყო და განაგდო უკეთური სწავლა არიოზ



მწვალებელისა და მსგავსთა მისთა, რომელნი უარ-  
ყოფდენ ღუთაებასა მისა ღუთისასა ანუ ამდაბლებ-  
დენ მას წინაშე ღუთისა მამისა, და უწოდებდენ ქმნი-  
ლებად და კაცად, თუმცა წარჩინებულად და დიდე-  
ბულად ღუთისაგან უმეტეს სსჯათა წმიდათა; და ჰირ-  
ველს მსოფლიოს კრებაში ნიკეას შინა, მეოთხე სა-  
უკუნეში, განაწესა აღსარება მისი ესრეთ: «და ერთი უფა-  
ლი ესთ ქრისტე, მე ღუთისა მხოლოდ შობილი  
მამისაგან შობილი უწინარეს ყოველთა საუკუნეთა:  
ნათელი ნათლისაგან, დემერთი ჭეშმარიტი, ღუთისა-  
გან ჭეშმარიტისა შობილი და არა ქმნილი, თანა-  
არსი მამისა, რომლისაგან ყოველი შეიქმნა».

---

პირებისა და ღუთაებისა-თჳს ს უ ლ ი ს ა წ მ ი დ ი ს ა .

§ 29. სული წმიდა ნამდვილად არის ჰირი  
ღუთაებისა და ჭეშმარიტი დემერთი მსგავსად მამისა  
და მისა. ესე მტკიცდება

1. მით, რომელ სული წმიდა იწოდება დემერ-  
თად და ნუგეშინის-მცემელად, და ესენი აღნიშვნენ და  
მიეწერებიან მხოლოდ საკუთრებითსა ჰირსა. მაგა-



# ძობა ყოვლად წმიდისა ქალწულისა ღმრთის-მშობელისა.

## ი რ ა კ ი მ დ ა ა ნ ნ ა .

წმიდა ირაკიმ იყო ტომისაგან იუდასა, ნათესავი მისი ჭსწარმოებდა სახლისაგან დაკით მეთვისა, ჭსტხოვრებდა იგი ნაწარეთსა შინა, ხოლო ცოლი მისი ანნა იყო ასული მღჳდღის მატათანასი, რომელსაცა უვან-და სამნი ასულნი: მარიაჲ, სოფიო და ანნა; ხოლო ელისაბედ იშვა სოფიოსაგან და ქრმისა მისისა, და ესე ელისაბედ იყო დედა იოანე წინაშობელისა. ანნა, დედა ყოვლად წმიდისა ღმრთის-მშობელისა, მით-ხოვილ იყო ირაკიმისადმი ქმრისაგან გაღივასა ქალასა შინა ნაწარეთს. მეუღლენი ესენი, ჭსწარმოებდნენ ჩინებულის ნათესავისაგან და სტხოვრებდნენ სჯულისაშებრ ღმრთისა და წინაშე უფლისა იუჳნენ მართალ. აქჳნდათ მრავალი სიმდიდრე ქმრისა და სხუათა სიმდიდრეთა შორის მოიპოებდნენ სულიერთასაცა სიმდიდრესა, შეამკობდნენ რა თავთა თვსთა ყოვლითა სათნოებითა, ვიდრე უბიწოდ მტნებათა შინა უფლისათა. ყოველსა დღესასწაულსა შინა განჳყოფდნენ ქონებასა თვსსა რაჲდ ნაწილად: ერთსა ნაწილსა მიაწმეკდნენ ღმერთსა სახმარად ეკლესიათა, ხოლო მეორესა მისცემდნენ გლახაკთა, და ამით ესრეთ მრავალ სათნო-ეუჳნენ იგინი ღმერთსა, რომელ ღირს-ჳყვნა იგინი მშობლად უბიწოჲსა ქალწულისა, რომელი იყო აღჩუულ ღმრთისაგან დედად უფლისად. ამით რდენ დამტკიცდების პატროსნება და სიწმიდე ღმრთისა სათნოჲსა ცხოვრებისა მათისა, რომელი მათ მოენიჭათ ასული უწმიდესი წმიდათა შორის და უმეტეს ყოველთა სათნო ღმრთი-



სა, და უპატროსნესი ქერობინთა. რამეთუ დროსა მას შინა არავინ იყო ქუჭყანასა ზედა კაცთა შორის ესრეთ სათნო ღუთისა, ვითარცა იოაკიმ და ანანა. მრავალნი იუჟენ სიმაწთლით მცხოვრებნი და ღუთის სათნონი, გარნა ორნი იგი აღმატნენ უმეტეს სხუთა კეთილ-მოქმედებითა თვისითა, და ამისთვისდა იპოვნეს იგინი წინაშე ღუთისა უუღირსებულებად: მათგან წარმოსდგა ქუჭყანასა ზედა დედა ღუთისა, მამასადამე მიიღეს მათ ესოდენი უმაღლესი ნიჭი კეთილ-მოქმედებისა წილ და სიწმიდისა მათისა. ვითარცა თვით უფალი განკურთვილდა უწმიდესისა და უპატროსნესის დედისაგან; ეგრეთვე ჯერ იყო, რათა დედაცა უფლისა შობილ-იყო წმიდათა და პატროსანთა მშობელთაგან. მეოქვნი ქუჭყანისანი იმოსებინან სამოსლითა ოქროს ქსოვილითა და არა მარტოვთა ძათათა, მსგავსად ამისა ინება ზეცათა მეუფემან რათა ყოფილი-იყო დედა მისი შემოსილი ყოვლითა ვითარცა რასამე სამეუფოთა პირფირითა, და იშუა იგი არა ჩვეულებითა უკრძალველთა მეუღლეთაგან, არამედ უბიწოთაგან და წმიდათა. ესე ძველადვე მოასწავა წმიდამან კაცუმან საწამებელისამან, რომელსაცა ქმნაჲ უბრძანა თვით ღმერთმან მოსეს, ძოწეულისაგან, მეწამულისა და ბისონისა, ქალწული, რომელმანცა დაიტია თვის შორის ღმერთი, რომელსაცა ჯერ უხნდა ცხოვრება კაცთათანა, ნიშნავდა სამკვიდრებელსა, ვითარცა თქმულ-არს: ეჭა სამკვიდრებელი ღუთისა კაცთათანა, და დაიმკვიდროს მათათანა! (გამოც. 20 მ. 3.) ძოწეული მეწამული და ბისონი, რომელთაგან ქსოვილ-იყო დასათარავი და კრეტსაბმელი კარვისა, მოასწავებდნენ მამასა და დედესა ღუთის მშობლისასა, სიწმიდესა, მოთმინებასა და სრულსა ცხოვრებასა მათსა, ყოველთა შემთხვევათა შინა.

გარნა წმიდათა ამათ მეუღლეთა განუსაზღვრა ნებამან ღუთისამან მრავალ უამიერი უშვილოება, რათამცა თვით მეტლად-ღებითა ყოვლად წმიდისა ქალწულისათა და შობითა მისითა გამოცხადდეს ძალი საღმრთო-მასა მადლისა, პატრივი შობილისა და ღირსება მშობელთა. რამეთუ შობა უნაყოფო-მასა და დრო გაჭდასწეულისაგან საშო-მასა არა არს ბუნებისა-



ებრი და ესე დაამტკიცებს ძალსა საღმრთოასა მადლისასა, ამისო, ს  
რომელ ღმერთმან ქსძლია ბუნებასა, დახსნა რა საკვრელნი უნაყოფოე-  
ბისანი. შობა მოხუცებულთა და უნაყოფოთაგან შეადგენს პატრიუსა შო-  
ბილისასა, ამისთჳს რომელ იგი იშვა არა ხორცის სათნო-მყოფელთა  
მშობელთაგან, არამედ კრძალულთაგან, რომელნიცა მიწევნულ-იუვნენ  
თჳთ უღრმესსა მოხუცებულებასა შინა, განუღესრა მეუღლეობასა შინა  
ორმოც და ათი წელი უშვილოდ. ხოლო ღირსება მშობელთა ცხად-  
ყოფის მით, რომელ მათ მიერ მოენიჭა ყოველსა სოფელსა სინა-  
რული. იგინი ამით ემსგავსნენ წმიდასა პატრიარქსსა აბრამს და მეუღ-  
ლესა მისსა კეთილ მსახურსა სარჩას, რომელთა ეშვათ ისააკი მოხუ-  
ცებულებასა შინა, აღთქმისაებრ ღმერთისა. ხოლო ჩუქნ თვინიერ იჭვისა  
ვიტყუით, რომელ იოაკიმ და ანნა იუწენენ უმეტეს და უმაღლეს აბრამ-  
მისა და სარჩასი, ვითარცა ქალწული მარიაჲ უმაღლეს ისააკისა; გარნა  
ესრეოი დიდი პატრიუი არა მსწრაფელ მოიწია მათზედა, იგი მოიპოეს  
მათ დიდითა მარხვითა, მრავლითა ღოცვითა, რომელთაცა აღაკლენდნენ  
ღმერთისადმი გულთადასა მწუხარებასა შინა. შემდგომად მწუხარებისა მო-  
კალს სინარული, ხოლო უპატრიოება იქმნების წინა მსრბოელ პატრიუსა,  
საშუალება კეთილის მოპოებისა არს კედრება, ხოლო შესამდგომელი  
მისი არის ღოცვა. იოაკიმ და ანნამ შემდგომ მრავალთა მწუხარებათა  
და ურკათა უშვილოებისათჳს მათისა, ერთსა დიდსა დღესასწაულსა მი-  
ანთვეს შესაწირავი თჳსი უფალსა ღმერთსა იერუსალიმის ეკკლესიასა  
შინა, სხუათა ყოველთა ძუთა ისრაილისათანა, ვითარცა იყო ჩვეულება.  
ხოლო ღრმსა მას შინა მყოფი მღჳღელთ-მთავრად ისაქარ აკკედრებდა  
რა იოაკიმს უნაყოფოებისათჳს, არა ენება მიღება მისისა შესაწირავისა.  
« შენ არა ღირს-ხარ, რათამცა შენგან მიღებულ-იქმნეს შესაწირავნი  
შენნი, რამეთუ შენ ხარ უნაყოფო! მიხეზისაგამო დაფარულთა ცოდ-  
ვათა შენთასა კერა სადამე მიგიღიეს შენ კურთხევა! მსჯავსადვე  
სხუადცა ებრავლი, ტომისაგან რომლამისა, რომელსაცა მიაქუნდა შესა-  
წირავი თჳსი სხუათა თანა, ეკიცხოდა იოაკიმს და ეტყოდა: « რამისა-



თვს გნებავს შენ უწინაჲს ჩემსა შესწირთ ნიჭი შენი ღმერთსა? ნუ  
უგუჲს ანა უწეია შენ, რომელ ამას ანა ღირს-ხარ შენა. იოაკიმმან,  
მოისმინა რა ესრეთი უკედრება, თრიად შესწუხდა და განვიდა ტაძრისა  
მისგან, დათარული სირცხვილითა და დამდაბლებული . . . სამჭმუნვაროდ  
შექქმნა მას დღესასწაული. ძლიერის მწუხარებისაგამო არღარა ენება  
მას უკმოქცევა სახლსა შინა თვსსა, არამედ წარვიდა იგი უდაბნოდ  
მწუემსთა თანა არკეთა მისთასა, და მუნ იწყო მწარედ ტირილი თვისი-  
სა უშვილოებისათვს და უზატოებისათვს. წარმოიღვინა რა წმიდა აბ-  
რამი, რომელსაცა მიანიჭა ღმერთმან ყამსა მოხუცებულობისა მისისასა  
ძე, და იწყო აღკვინება მხურვალისა ლოცვისა უფლისა მიმართ, რათა  
ღირს-ჰყო იგი ესრეთსავე გურთხეასა, შეისმინოს და შეაწყალოს იგი,  
და აღიღოს მისგან შეურაცხება ერთა, და მისცეს მას ნაყოფსა მე-  
უღლეობისასა, ვითარცა ოდესმე აბრამს, და ეწოდოს იგი მამად ძესა  
თვსსა და ნურღარა იუკედრებოდეს იგი ერთაგან, ვითარცა უნაყოფო და  
განგდებული ღმერთისა მიერ ლოცუჲ ესე განმტკიცა მან მარხვითა, არღ-  
არა ჰამა თვთ პურციცა ორძოც დღემდინ. «ანა ვიგემო ანა ვითარი  
საზრდელი, ესრეთ უბნობდა იგი, და არცა მივიქცე სახლად თვსად,  
რამეთუ ცრემლნი ჩემნი შექქმნეს მე საზრდელად, ხოლო უდაბნო სახ-  
ლად, ვიდრემდინ შეისმინოს და მომხედოს მე ღმერთმან ისრაილისა-  
მან». ეგრეთვე ცოლი მისი, დაშთარა სახლსა შინა, სტიროდა უნუგე-  
შოდ, ესმა რა რომელ მღჲდელთ-მთავარსა ანა ენება მიღება მათგან  
შესაწირვისა უნაყოფოებისა თვს მათისა, და რომელ ქმარმან მისმან  
დიდის მწუხარებით დაუტევა იგი და წარვიდა უდაბნოდ «აწ შევიქმენ  
ყოველთა ზედა უბედურ, უბნობდა იგი: ღმერთმან და მიტევა მე, ერ-  
ნი მევიცხვიან, და ქმარი განმეშორა და აწ რასა ზედა უმეტეს ვსტი-  
როდე? უშვილოებასა ზედა ანუ ქვრიუობასა ზედა, სიბოლესა ანუ მის-  
თვს, რომელ ვერა ვეღირსე მე დედად წოდებასა? . . . . იტყოდა რა  
ამას, დაუცხომელად, ცრემლყოდა და შეიმუხრებოდა გულითა. ივდით,  
თანა მსახური მისი, ნუგეშინისცემდა მას ვითარცა იცოდა, გარნა თვი-



ნიერ ყოველისა სარგებლობისა, და ვის ძალედვან ქაქარება მწუხარებისა მისისა, რომელიც მსგავსად ზღვისა აღელვებოდა? დაშთენილი მარტოდ, წარვიღა იგი მტილსა (ბაღსა) დასჯდა რა დათნის ხესა ქუჩაზე, აღმოიხრწა და აღიხილნა თვალითი თვისნი ზეცად და იხილა ბუდე ფრინველთა, სადაცა იხედნენ მართვენი მათნი, რომელთა მჭკრეტელობითა უმეტესად განძლიერდებოდა მწუხარება მისი და იწყო ღაღადება: ვამე ვამე მხოლოსა უეცოდვილესსა, ყოველთა ასულისა შორის იხილათასა ყოველთა დედათა შორის დამდაბლებულსა! სხუათა რომელთამე მიმდევრესთ ხელითა თვისითა შვილითი თვისნი და მათ მიერ ნუგეშინისტემიან; ხოლო მე მოკლებულ ვარ ესე ვითარსა ნუგეშინისტემასა; სხუათა შესწირავნი ეკლესიასა შინა შეიწირუბიან და პატრიკსა სცემენ მათ რამეთუ მათ უშობიეს შვილინი; ხოლო ერთი ოდენ მე ვიქმენ განვადებულ ეკლესიისაგან ღუთისა ჩემისა ვამ! ვის უკუჩქ ძალ მიძს მივამსგავსო თავი თვისი! ანცა ფრინველთა ცისათა, ანცა მხეტთა, რამეთუ იგინი შეგწირვენ შენ უფალო ნაყოფთა თვისთა, ხოლო მე დაკშთები უნაყოფოდ, მიწისა თანაცა არა ძალ მიძს მიმსგავსება თავისა ჩემისა, ვინაოდგან იგი აღმოატყნებს რა ნაყოფთა, შესწირავს ღმერთსა და აკურთხევს მამასა ზეციერსა. მხოლოდ მე ვარ უშვილო ქუჩაყანასა ზედა! . . . ვამ ჩემდა, ვამ ჩემდა, უფალო ჩემო! შენ, რომელმანცა მიანიჭე სარჩას მე უღრმესსა მოხუცებულებსა შინა; შენ რომელმანცა განუხვენ საშო ანნას, დედასა სამულ წინასწარმეტყუელისა შენისასა! მომხედენ მეცა და შეისმინე ვედრება ჩემი, ადონა უფალო! შენ უწვი, თუ ვითარ საკიტელ-არს ჩუქნ შორის უშვილოება. განჩკურნე თვით შენ უფალო სხეულება გულისა ჩემისა, დახსენ საკურელნი ჩემის უნაყოფოებისანი, და შობილი ჩემგან შენდა შეგსწირო უფალო და ვაკურთხევე და ვადიდებდე მრავალ-მოწყალეებსა შენსა!» მტირალსა და მგოდებულსა ანნას გამოეცხადა ანგელოსი უფლისა და ჭრქუა: « ანნა! ანნა! შეისმინა ვედრება შენი უფალმან, რამეთუ ოხუროთა შენთა განკლეს საშუალ ღრუბელთა, და ცრემლი შენნი მიიწივნეს უფლისა მიმართ. მუცლად იღებ და შობ-



ასულსა კურთხეულსა! მის მიერ იკურთხეოდნა ყოველნი ტომნი ქრისტიანისანი, მის მიერ მოეცემის ხსნა სოფელსა, და ეწოდოს მას მარია!»! ანნამ ისმინა რა სიტყუანი ესე ანგელოზისა თაყვანისცა უფალსა და ჰქრქუა: «ცხოველ არს უფალი ღმერთი! უკეთუ შედიხარს მე შეიდი, იგი მიკართვა უფალსა მსახურებად ემსახუროს იგი მას დღე ყოველ, და ღამე და აქებდეს სახელსა წმიდასა მისსა სრულსა ცხოვრებასა შინათვისსა! . . . აღსებული გამოუთქმელის სიხარულითა, წმიდა ანა ისწრაფდა ტაძრად კეთილ მოწიწებით, რათამცა აღუკლინოს ღმერთსა მადლობათვის და ღოცუა მისის მოწყალეობითის მოხედვისათვის.

მასვე დროსა შინა წმიდასა იოაკიმსაც გამოეცხადა ანგელოზი უდაბნოსა შინა და ჰქრქუა: «იოაკიმ! შეისმინა ღმერთმან ვედრება შენი, და «მოგთუნს შენ მადლსა თვისსა. ცოლი შენი ანა მუცლად-იღებს და გიშობს შენ ასულსა, რომელი მოანიჭებს სიხარულსა ყოველსა სოფელსა. აჴა ნიში ჴეშმარტებისა ამის, რომელიცა გაუწიებ შენ. წარკედ იერუსალიმს და შეკედ ეკლესიასა შინა უფლისასა, მუნ იხილავ ოქროს ბჯისათანა მეუღლესა შენსა ანას, მისდამოცა უწიებულ-არს ყოველივე ესე!» განჴკვირდა რა ამა კეთილ-უწიებასა ზედა ანგელოზისასა, იოაკიმ აღიდებდა და მადლობდა ღმერთსა გულთა და ბავითა თვისითა, ესოდენის დიდის მოწყალეობისათვის მისისა, და მსწრაფლ წარვიდა ეკლესიასა შინა უფლისასა, და სიტყვისაებრ ანგელოზისა ჴბოვა ოქროს ბჯისათანა ანა მკუდრებელი ღმერთისა. იოაკიმ აუწია მას ხარება ანგელოზისა და იგიცა მოუთხრობდა მას ყოველსავე რაფცა იხილა. განიხარეს სიხარულითა დიდითა და აღიდებდეს ღმერთსა უხვისა მათდა მიმართ მოწყალეობისათვის მისისა. და წარვიდეს იგინი წმიდის ტაძრიდგან სახლად თვისად. ანამ მუცლად-იღო მეცხრესა დღესა დეკემბრისასა.

სეკტემბრის რვას ანამ შვა ასული ყოვლად წმიდა და ყოვლად კურთხეული ქალწული მარია, შუა-მდგომელი ჩუწნი და დასაბამი ჩუწნისა გამოხსნისა, შობისათვის მისისა განიხარა ცამან და ქრისტიანმან. იოაკიმმან შესწირა ღმერთსა მსხვერპლი, შესაწირავი და ყოვლად დასაწველი, ჳ



მიიღო გურთხევა მღუდელთ-მთავრისა, მღუდელთა, ლეკიტელთა და ყოველთა ერთგან, მისთვის რომელ ღირს-იქმნა იგი გურთხევასა ღუთისასა. შემდგომად მისა ჭქმნა სახლსა შინა თვისსა დიდი სერი, სადაცა ყოველივე იხარებდეს და ადიდებდეს ღმერთსა.

იხრებოდა რა მარიაჲ, ესრეთ იცავდნენ მშობელნი მისნი ვითარცა გუგასა თვალისა თვისისა, უწყოდენ საკუთარის ღუთის გამოცხადებითა, რომელ იგი იქმნების ნათელი სოფლისა და განახლება კაცობრივისა ბუნებისა. აღზრდიდენ იგინი მას ესრეთის ყურად-ღებითა და მზრუნველობითა, ვითარცა კვადრებოდა ღედასა ჩუქნისა მაცხოვრისასა. მათ აწათუ უყვარდათ იგი, ვითარცა ასული სასურველი მწავლის ჟამიდან, აწამედ პატროსტემდნენ მას, ვითარცა უფალსა თვისსა, მოიხსენებდენ რა სიტყუასა ანგელოზისასა და წინად იხილვიდეს სულითა თუ ვითარნი საქმენი მას ზედ შესრულებად არიან. აღსებული საღმრთოთა მადლითა უხილავად განამდიდრებდა მშობელთაცა თვისთა მითვე მადლითა. ვითარცა მზე განთენითა სხივთა თვისთათა განაბრწყინებს ვარსკვლავთა ცისათა; აგრეთვე მარიაჲ განანათლებდა სხივითა მისდა მიტემულისა მადლისათა, იოაკიმ და ანას, ესრეთ რომელ განბრწყინებულნი სულითა ღუთისათა ცხადად ხევიდენ აღსრულებასა თქმულთა ანგელოზისა მიერ სიტყუათასა. ოდესცა საღმრთოსა ერმასა შეუსრულდა სამი წელი, მაშინ მშობელთა მიიყვანეს იგი ტაძრად უფლისა (\*) ვითარცა შესაწირავი აღთქმული მათ მიერ.

განულო რა, რადენიმე ჟამიან, შემდგომ ტაძრად მიყვანებისა მისისა, წმიდა იოაკიმ აღესრულა ოთხმოცის წლისა, ხოლო წმიდა ანას, დაშთენილი ქვრივად, გარდაესახლა ნაზარეთით იერუსალიმსა შინა და სცხოვრებდა მუნ, მახლობლად ყოვლად წმიდისა თვისისა ასულისა, ილოცვიდა დაუცხრომელად ტაძრსა შინა, ხოლო განმავალობასა შინა ორისა წლისასა იგიცა აღესრულა უფლისა მიმართ ოთხმოც და ცხრამეტის წლისა. ოჲ! ვითარი გურთხევა მიიღეთ თქუენ წმიდანო მშობელო იოაკიმ ბ

(\*) დაწვლილებულნი მოთხრობანი ტაძრად მიყვანებისათვის ყოვლად წმიდისა ქალწულისა იხილეთ ქუცვიით.



ახნა ყოვლად წმიდისა ასულისა მიერ თქუწნისა, ყოვლად გურთხეულისა  
ძისა მისისა უფლისა იესოს ქრისტესს მიერ რომელითაცა იგურთხევიან  
ყოველნი ნათესავნი და ენანი! წმიდა ეკკლესია ნაძღვილად გიწოდებსთ  
თქუწნ ღერდ-მამად; მისთვის რომელ ღმერთი იშუა თქუწნის ყოვლად  
წმიდის ასულისაგან. ილტუვდით ჩუწნთვს, თქუწნ რომელიცა უმან-  
ღობელეს ღმერთისა ხართ, რათამცა ჩუწნცა თანაზიარ ვიქმნეთ თქუწნის  
ღურთხეულების სიხარულისა. ამინ.



შ ე ს ს მ ა

ყოვლად-სამღუდელო მინგრელიის ეპისკოპოსის ბესარიონისადმი, თქმული მარ-  
ტვილის საკათედრო სობოროსა შინა, 22-ს იანვარს 1863-სა წელსა. (\*)

ყოვლად-უსამღუდელოესო მეუფეო !

სახარულევანი შემთხვევა, რომელსაცა მოულოდა კათედრას ესე, სრულ  
იქმნა სანუგეშოდ სამენგრელოს საზოგადოებათა. დაუსაბამომან განგებუ-  
ლებაზან ღუთისამან, კეთილ-მნებებელობითა ყოვლად-მოწყალისა ხელმწი-  
ფისა ჩუქნისათა, აღმოგირჩიათ თქუქნი, სამენგრელოს შვილი, მწყემს-  
მთავრად მისკე მინგრელიის ეპარხიისა. ჩუქნი კსასოებთ, რომელ მმარ-  
თუელობა და მწყესკა თქუქნი ამა ეპარხიასა შინა იქმნებიან კეთილნი და  
ნაყოფიერნი, ვითარცა ძველთა მღუდელ-მთავართა, ჩუქნთა მემამულეთა,  
რომელნიცა, შეძლებისა-ებრ მათისა, ფრიად მეცადინეობდენ განმტკიცე-  
ბისათჳს ყოვლისა ქრისტიანობრივისა წესისა სამენგრელოსა შინა.

(\*) ყოვლად-სამღუდელო ბესარიონ, გვაროვნებით სამენგრელოს თავადთაგანი ჩ ი ჩ ა  
ჟ ა, არჩიანდრიტობის ხარისხში იმყოფებოდა ზობის მონასტრის წინამძღურად, რომ-  
ელიცა არის სამენგრელოშივე; მღუდელ-მთავრად ხელდასსხმულ იქმნა 1-ს იანვარს  
1863 წ. ტფილისის სიონის სობოროში ყოვლად უსამღუდელოესის საქართუჭლოს  
ექსარხოსის, არჩიეპისკოპოსის ევსევისა-მიერ თანა მონაწილეობითა ორთა სსუათა მღუ-  
დელ-მთავართათა; მერმე მიზრძანდა თავის ეპარხიაში, სადაცა მიიღეს ღიღის სინარუ-  
ლით, ვითარცა იქაური მამულის შვილი, და ვითარცა გვაჩვენებს წინამდებარე ესე  
შესხმა.



მოწყალეო მწყემს-მთავარო! სამღვდელთანი მენგრელისა შეკსწირვით  
დიდსა მადლობასა და თაყვანისცემასა მამასა ზეტათასა, და კილოცავით  
ყოვლად მოწყალისა ხელმწიფისა ჩუქნისა-თჳს მონიჭებისა-თჳს ჩუქნდა  
ესრეთისა მწყემს-მთავრისა. ჩუქნ ყოველნი სულელობითა სიხარულითა კის-  
წრითთ მიგებებად თქუქნდა, ვითარცა ახლისა მწყემსთ-მთავრისა ჩუქნი-  
სა, და მოგილოცავით მღვდელ-მთავრობასა და აღსულასა მარტვილის კა-  
თედრასა ზედა. წარმართნეს უთაღმან მამობრივნი მზრუნველობანი თქუქნ-  
ნი მენგრელისა შინა, და გუოს მრავალ ყაშიერ სანუგეშოდ და სასიხა-  
რულოდ ჩუქნდა, კეთილ-სამედლობათა სვიტათა და სამწყსობათა თქუქნითა,  
და სადიდებელად ღმრთისა და სასარგებლოდ ეკკლესიისა და მამულისა!  
გუჩაგურთხენ ყოვლად-უსამღვდელთესო მეუფეო, დიდითა მით გურთხე-  
ვითა თქუქნითა. მრავალ ყაშიერ! მრავალ ყაშიერ!

დეკანოზი დიუკა გაწერელია.



## მთავარ-დიაკონის წირვისა-თვის.



ამ უკანასკნელს დროებში შამოვიდა საქართველოში სხუათა შორის ის ჩუბულებაც, რომ მთავარ-დიაკონი სწირავს მღუდელთან მოუმზადებულად; ესე იგი—ასრულებს ყოველს მისი ხარისხის შესაფერის საღმრთო მოქმედებას წირვასედა, თუნიერ საიდუმლოს მიღებისა: მხოლოდ წმიდა საიდუმლოს ანუ ზიარებას არ მიიღებს მოუმზადებულად. ამ ჩუბულების უკანაობა და უწყობა სხანს შემდგომთაგან.

ეკლესიის სწავლისა-შებრ, მთავარ-დიაკონი არის თანაშემწე და თანამწირველი მღუდლისა; მაშა-სადაც მომზადება მისი საღმრთო წირვისა-თვის ღატვითა, მარხვითა და სიწმიდითა—ისე საჭიროა მისთვის, როგორც მღუდლისა-თვის.—ამისთვის თითქმის ყოველნი ძველნი მთავარ-დიაკონები საქართველოსანი და ღოკიერთნი სხუა ქუბულებისაც არაოდეს არ შეიმოსებიან საწირავად, თუ არ არიან მომზადებულნი კანონიერად.—ამისგან სხანს, რომ ეს ჩუბულება არა ყოფილა ჩუბუნში ძველად და არც სხუაგან, სადაც ეკლესიის წესი არის დაცული მტკიცედ და შეუცვალბულად.

ამ შემთხვევაში შესანიშნავია შემდგომი გარემოება. ამ წლის წასრულს თვეებში ერთმა რუსეთის ბლადოჩინმა, ჩეჩნიგოვის ეპარხიაში, მოახსენა ადგილობრით მღუდელ-მთავარს, რომ მიეტყეს თუ არა მთავარ-დიაკონს ნაწილი იმ დღის შემოსავლისაგან, როდესაც ის არ არის მომზადებული წირვისათვის;—და ამისგანვე ეპარხიის მთავრობამ დასდვა საზოგადოდ ესრეთი კანონი: «იმ მთავარ-დიაკონებს, რომელნიც მოუმზადებუ-



ლად გამოცხადდებიან წიწვასედ, ნუ მიეცემათ ნაწილი იმ დღის შამოსაკალისაგან და ნუცა შეიმოსებიან საწიწვად, არამედ დადგნენ პრინციპნიკებთან და იმათთან იკითხონ და იგალობონ ».

ნათქვამია, მკითხველ, სამოქალაქოდ: ნუ დაუტეკებ ნუცა ძველსა გზას, ნუცა ძველსა მეგობარსა; ამისთვის ნუცა ჩუქნი დაუტეკებთ ნუცა ძველსა გზასა ჭეშმარიტებისასა და ნუცა ძველსა კეთილსა ჩვეულებასა სარწმუნოებისასა. თუმცა ვხედავთ, რომ ზოგიერთნი მთავარ-დიაკვნები ძვირად მოემზადებიან საწიწვად კანონიერი წესით და მოემზადებულად სწიწვასად მღვდელთან—და სხუასაცა მრავალსა ცუდსა მაგალითსა; მაგრამ ისეც უნდა გვახსოვდეს, რომ კაცის სისუსტე და ცუდი მაგალითი არადღეს არ არის მისაბამავი და საქები. ამისთვის, ძმანო საყვარელო, მტკიცე ვიყვნეთ და შეუწყველ სარწმუნოებასა ზედა, და ვმატებდეთ საქმეს უფლისასა მარადის; უწყოდეთ, რამეთუ შრომა ეგე ჩუქნი არა ცუდად იყოს უფლისა მიერ (1 კორინთ. თ. 15, მ. 58)!

მღვდელი გიორგი ხელიძე.



წმიდათა შორის მამისა ჩუქნისა გრიგორი დეო-  
ლოღოსისა, რომთა ზაპისა;

ღარიგება მეუღლეობასა შინა მეოფთათჳს.

მეოფნი მეუღლეობასა შინა ქრისტიანენი ვაღდეუელ არიან, რათა  
ახსოვდესთ იგი, რასაცა ითხოვს მათგან ნება ღუთისა; ქუჭენიერი ცხოვ-  
რების სიკეთე და სიამოვნება უნდა იხმარონ სიფრთხილით და კრძალუ-  
ლებით, რათა არა დაივიწყონ შიში ღუთისა და მომავალისა სასჯელისა;  
შემთხვეული მწუხარება და უბედურება უნდა დაითმინონ სასოებითა მო-  
მავალისა ნეტარებისათა, ვინაჲღვან ყოველივე ქუჭენიერი არის ხან-მო-  
კლე და წარმავალი, და მომავალი იგი ცხოვრება—დაუსრულებელი; ყო-  
ველი იგი, რასაცა მოქმედებენ ანუ შურებისან ამიერ სოფლისა-თჳს, წარ-  
ვალს; ხოლო იგი, რასაცა ისურვებენ და მოელან მერმისა მის საუკუ-  
ნესა-თჳს, მარადის დაშთების.—სულნი ქრისტიანეთა, მეუღლეობასა ში-  
ნა მეოფთანი, არიან სუსტნი და ძლიერნი: იგინი ვერა სრულიად განე-  
შორებისან ქუჭენიერსა ზრუნვასა, და ამასთანავე ეძაებენ და მოელან  
ზეცისასაცა; იგინი ზოგჯერ ემონებისან უძლეურებასა ხორცთასა, გარნა  
განმტკიცებებისან სასოებითა ზეგარდამოღთა. ყოველი ესე მოკლედ და მშვე-  
ნიერად არის გამოხატული მოციქულისაგან სიტყუჳთა ამით შინა: «რო-  
მელთა ესხნენ ცოლ ესრეთ იყვნენ, ვითარცმა არა ესხნეს . . . , და რო-  
მელნი იმსახურებდენ სოფელსა ამას, ვითარცა არა იმსახურებენ » (1  
კორინთ. თ, 7, მ, 29, 30, 31). თუმცა მეუღლენი ზოგჯერ მიემთ-




ხევეიან ერთმანერთისაგან უკმაყოფილებასა, მწუხარებასა და სიმწარესა, მაგრამ უნდა დაითმინონ ესე ყოველი სულგრძელებითა. წერილი იტყვის: « ურთიერთაწს სიმძიმე იტვირთეთ, და ესრეთ აღასრულეთ სჯული იგი ქრისტესი » (გალატ. თ. 7, მ. 2). ხოლო სჯული ქრისტესი არის სიუწყარული, რომლისა-მიერ უფალი იესო ქრისტე მოგვანიჭებს ჩვენს კეთილსა, და მოთმინებით ხედავს საქმეთა ჩვენთა ბოროტთა. ამისთვის ჩვენს მაშინ ვასრულებთ სჯულსა ქრისტესსა, რომდესაც კეთილსა უყოფთ მოუწყასთა ჩვენთა, და მიღებულსა მათგან მწუხარებასა, შეწარებასა და უკმაყოფილებასა სულგრძელებით დაკითმენტთ. ესე მტკიცედ უნდა ახსოვდეს თვთოეულსა ქრისტეიანსა, მეუღლეობასა შინა მყოფსა; ესრეთ უნდა იქცეოდეს თვთოეული მათგანი. ესეცა უნდა იცოდნენ მათ, რომელ იგინი შეუღლდნენ ერთმანერთსა შეიღთა შობისა და აღზრდისა-თვის, და არა ხორცთა გემოვნებისა და სიამოვნებისა-თვის; იგინი არა უნდა ეძიებდნენ ესე-ვითართა წინააღმდეგთა ქრისტეიანობრივისა მეუღლეობისათა მოქმედებათა. თუმცა მეუღლენი ზოგჯერ ვერა წინააღმდეგებისა ხორცთა გემოვნებასა, მაგრამ უნდა ეცადნენ, რათა არა სრულიად დაემონონ მას; მისთვის რომელ უზომო ხორცთა გემოვნება და შეება სჯულიერსაცა მეუღლეობასა შინა შეეწაცხება მათ ცოდვით. მეუღლენი განშორებულ და თავისუფალ არიან სამაგელისა არა წმიდებისა და მეძაობისაგან, და თუმცა არა სრულიად მოაკვდინებენ ხორცთა ვნებასა და გემოვნებასა, გარნა ჭპოვებენ ცხოვნებასა მეუღლეობასა შინა უფლისა-მიერ; მაგრამ იგინიცა უნდა ეკედრებოდნენ უფალსა განთავისუფლებისა-თვის სჯულის წინააღმდეგთა ხორცთა მნებელობათა, ჭ—მიიღებენ მას. ამისთვის უბრძანებს მათ მოციქული: « ნუ განეშორებით ურთიერთსა გარნა თუ შეთქმით რამე ყამ რავდენმე, რათა მოიცალოთ ლოცუად და მარხუად, და კუალად ურთიერთსავე იყვენით, რათა არა განგცადნეს თქვენს ეშმაკმან უთმინობითა თქვენითა » (1 კორინთ. თ. 7, მ. 5).

მთარგმნელი რუსულით,  
მღწედელი გიორგი ხელიძე.



მოთხრობა ხატისათვის ყოვლადწმიდისა ღმთის-მშობლისა, რომელიცა არის  
რუსეთს და იწოდება რუსთაგან «საქართუშლოს ყოვლადწმიდისა ღმთის-  
მშობლის ხატად».



მეფობასა რუსთა ზედა დიდისა მთავრისა მიხაილ ძეოდოროვიჩისასა  
და პატრიარქობასა თეოფანისასა სპარსთა მეფემან შაჰ-აბაზ უსჯულო-  
მან წარტყენა ქრისტეანა საქართუშლოდ, და მუნ მრავალნი წმიდანი და  
პატრიარქნი ხატნი სპარსთა და სპათაცა მხედართ მძღვანელთა, რომელ-  
თამე ნატაცებად, რომელთამე ქურდულად წარიდეს თვისსა ქრისტეანასა (\*),  
რათამცა მუნ მისუიღონ იგინი რუსთა ვაჭართა; რამეთუ უწყოდენ, რომ-  
მელ მტკიცედ უზურესთ მათ თაყვანისცემა ხატთა, ვინაიდგან მაშინ რუს-  
ნი მრავალნი იყვნენ სპარსეთს სავაჭროდ. ხოლო იყო მუნ ვაჭარი ვინ-  
მე ქალაქით იაროსლავით, სახელათ სტეფანე, დადგინებული სავაჭროსა  
ზედა ერთისა დიდისა ვაჭრისა სახელით გიორგისა, - რომლისა მიმართ  
სპარსმან ვინმე მიიტანა ხატი ყოვლად წმიდისა ღმთის-მშობლისა, შემ-  
კობილი თურად მშვენიერად ვეცხლითა და ოქროდთა, რათამცა იუიღოს  
იგი მისგან. ხოლო კაცმან მან ღმთის მსახურმან სტეფანემ სიხარულით  
მოიყიდა მისგან პატრიარქნი ხატი იგი, წარღებული ნატაცებად ქვეყანი-

---


(\*) ამავე უკვე მოხრობასა შინა უსჯულომან შაჰ-აბაზ კვართი იგი უფლისა ჩვე-  
ნისა იესოსი და სხვანი უპირველესნი განძეულობანი აღიღო და მიუძღვნა კეთილ-მსა-  
ხურსა მას მეფესა მიხაილ ფეოდოროვიჩსა, რომლისა მიერ მიღებულ იქმნა სიწმინ-  
დით და შეწყენარებულ ნამდვილ კვართად უფლისა; ხოლო პატრიარქმან თეოფანე დი-  
დითა პატივითა დასდვა კვართი იგი დიდსა ეკკლესიასა ღმთის-მშობლისასა, სამეფოსა  
მას ქალაქსა მოსკოვს, რომლისა დღესასწაულიცა განაწესა 12 ივლისსა.



საგან საქართველოს; — და აჭა იხილეთ საკვირველებს ღმერთისა ! მასვე  
ყამსა შინა, ოდეს სუიღულ იქმნა ხატი იგი, იყო საკვირველი გამოცხა-  
დება ძილსა შინა, ქალაქსა იაროსლავს, ჰიწველ უწყებულისა კაცისა გი-  
ორგისა ვითარმედ: « ზედა მდგომელმან სავაჭროდსა შენისა სტეფანემ,  
რომელი ჰგოეს სპარსეთს, მოვიყიდა შენ უსასუიღლო მარგალიტი და  
ოდეს მოვიღოს შენ, წარგზავნე იგი საზღვარსა შანა მდინარისა დვი-  
ნისასა, მთასა შინა შავსა ». განიღვიძა რა ძილისაგან, კეთილ-მსახური იგი  
გიორგი განიზრახვიდა ხილვისა მისთვის და ვერა სცნობდა, თუ რა არს  
მარგალიტი იგი, ანუ ადგილი შავისა მთისა. ხოლო შემდგომად რომ-  
ლისამე ყამისა, მოვიდა სხნებული სტეფანე და მოართო ვატიოსნისა უფ-  
ლად წმიდისა ღვთის-მშობლისა ხატი, რომელიცა მოესყიდა სპარსეთს,  
და იხილა რა იგი გიორგიმ, მაშინვე ღმერთი განბრძნობილითა გონები-  
თა მოესხენა ხილვა იგი და იტყოდა: « ესე არს ჭეშმარიტად უსასუიღ-  
ლო იგი მარგალიტი »; და მოსწრაფედ, ბრძანებულისა მისებრ, წარვიდა  
საზღვართა შორის დვინის მდინარისასა და მიიწია შავ მთად, რომელი-  
ცა არის აჩხანგელსკის გუბერნიისაში, სადაცა იყო დათუძნებულ მონასტე-  
რი, ვატიოსნითა ხატიითა მით უფლად წმიდისა ღვთის-მშობლისა, რომ-  
ელიცა სახელისა მებრ ქვეყანისა მის საქართველოსა აქამომდე იწოდე-  
ბის: და მრავალი მონაგები, ოქრო და ვერცხლი და სხვა ნივთი საკ-  
ვლესიონი და წიგნთა სიმრავლე შესწირა იმა მონასტერს. ხოლო მასვე  
ყამსა მოსვენებისა ვატიოსნისა მის ხატისასა, ვიდრეცა უფთასა მუნ  
ღმერთ-მსახურისა მის კაცისა გიორგისა, ღამის თუასა და მღვიძარებასა  
წინამძღვრისა მის მონასტრისა და ძმთა, რომელი აღესრულებოდა ეკ-  
ვლესიასა შინა, მონაზონი ვინმე სახელით პიტრიონ, დაბრძობილი თვა-  
ლითა და უსმენი ყურითა, მრავალთაგან წელთა, რომელი იყო სამკურ-  
ნალისა მონასტრისასა, გალობისა ყამსა გამოვიდა სტოასა (დერეფანსა)  
წინაშე სენაკისა თვისისა ლოცვად. და ოდეს ილოცვიდა, მეუწესეულად ნა-  
თელი დიდი გამოუბრწყინდა მას, ხოლო იგი დიდად განცვიფრდებოდა,  
ამისთვის რამეთუ იყო მრავალთაგან წელთა არა მხილველი ნათლისა, და



გონებდა ოცნებასა საეშმაკოსა უფრად, და გამოიხატა თავსა ზედა თვის-  
სა ნიშანი ზატორისნისა ჟუარისა და აღნიღნა თქალნი თქსნი მთად დი-  
დად და იხილა მას ზედა სახე ღმთის-მშობლისა, ვითაწესა მსწავნდი  
მზისა გამობრწყინებულნი და ზეო ლოცვა. და მიუწ უამიდგან იწყო თვა-  
ლით ხილვად და უყრით სძენად; და შემდგომად საცისკრისა დიდების  
მეტყუწლესისა, მოვიდა გრებულთა შორის და მიუთხრობდა ქმნილსა მას  
სასწაულსა გუჩნებისასა წინა-მძღვანისა და ძმათა, და უფუკლნი მუნ მულოთნი  
ადიდებდეს ღმერთსა და უფუკლად წმიდის ხატსა საქართველს ღმთის-მშობ-  
ლისასა. ხოლო იხილა რა თვრისად დიდებულნი და საკვირველი ესე სასწაული,  
ღმთის მსახურმან კაცმან გიორგიმ, თვრისად სურვილით აღუბებულმან აღაძუ-  
ნა ტამარი მშვენიერი მონასტრისა მას, სადდიდებულად უფუკლად. წმინდისა  
ღმთის-მშობლისა. და მიუერთგან წმიდისა მის ხატისაგან მრავალნი სასწაულ-  
ნი იქმნეს და გუჩნება მრავალ-ფერითა უძღურებითა შეზურთობილთა, რა-  
მელთაგანი მტრე რდენი მოგახსენათ: იყო დედაკაცი ვინმე განწლეკ-  
ული, სახელით ხეონილე, ხოლო საწმუნებისა ლოცუამან და მტკიცე  
სასრუბამან ღმთის-მშობლისადმი მიანიჭა მას გუჩნება, რამეთუ გამოუც-  
ხად უფუკლად წმიდა დედა ღმთისა, ხელი უბურა და აღადგინა იგი გან-  
გუჩნებულნი. კუალად მეორე დედა-კაცი სახელით თუთლისა იყო თვა-  
ლით ვნებულნი და კერლა ხედიდა; იგი სასრუბით მტკიცით წარვიდა სა-  
ქართველსად წოდებულის ღმთის-მშობლისადმი, და მივიდა და შეეხო-  
რა საკვირველს მას ხატსა, მეუკსეულად განიკურნა და იწყო მიუწ უამიდ-  
გან ხილვად. კარდა ამისა კაცი ვინმე, სახელით გოდრატე, იყო ეშმაკე-  
ული და იდეკნებოდა ეშმაკისაგან უღახნათა ადგილთა შვიდსა კვირასა,  
არა რასამე საზრდოსა მიიღებდა და სიყმილდგან წარწყმდებოდა. მას  
გამოეცხადა უღახნოსა შინა მშიერთა გამომზრდელი ღმთის-მშობელი,  
ხელი უბურა მას და უჩრწნა გზა იგი ჭეშმარიტებისა სახლის მიმართ  
მშობელთა მისთა; და ეგრეთვე უჩვენა თვისიცა მონასტერი და ამცნო  
მუნ მისუკლად და სრულ-ყოფად მას შინა ცხორებისა თვისისა: და სხვა  
კაცი სახელით იოანე, მეთეკზე. ნადირობასა თეკისასა ტბასა შინა, და-





ინთქმოდან რა იგი ღელვისაგან, ხსნილ იქმნა განსაცდელისა ძლიერებითა მის ხატისათა. დასასრულ ერთი ვატი, ზღვის კიდესა შინა მცხოვრები, სახელით ზაულე, იყო მრავალჟამ შეზურობილ საღმობითა და დიდად ვნებულ; გამოეცხადა მას ყოვლად წმიდა და საღმობისაგან განათავისუფლდა. და ესრეთ ვინ აღწეროს ეგოდენნი სასწაულნი, ქმნილნი ქართუწლათა ღმრთის-მშობლისა მიერ! ერთის სიტყვით, აწცალა ვგონებ, სიტყვისა-მებრ სახარებისა, უკეთუ აღიწერებოდენ სასწაულნი მისნი, — და იტიოს სოფელმან ამან, რამეთუ ფრად მრავალთაგან, სხვათა და სხვათა მომავკდინებულთა საღმობათაგან განჭკურნებდა; 1.) მშობიერებისა საღმობათაგან; 2.) სიმსივნეთაგან; 3.) ფერად ფერადთა თვალთა და კბილთა ტკივილთაგან; 4.) აწა-წმინდათა სულთაგან ვნებულთა, და 5.) მწამლუკობათაგან შეზურობილთა; და კიდრე დღეინდელად დღემდეცა მოქმედებს ურცხვთა სასწაულთა: და აწა მხოლოდ მუნ, აწამედ სამეფოსაცა ქალაქსა მოსკოვს, გარდმოხატულისაგან მის ზატოისნის ხატისა, რომელიცა აწს დიდსა ეკლესიასა შინა, აღშენებულსა სახელსა ზედა მიძინების ღმრთის-მშობლისასა, მრავალნი იქმნებიან სასწაულნი მისგან სარწმუნოებით მოსრულთა მისდამი, სადიდებულად მისგან შობილისა ქრისტეს ღმრთისა.

იოანე ბერძენოვი.



## წიგნი რედაქტორთან.

აწყოას ამას დროს, რომელიცა იწოდება დროდ წ ა რ მ ა ტ ე ბ ი ს ა, ღრთივ-დაცულისა საქართველოს შინა ცოცხლად იგრძნობების მღალაღბული საჭიროება დრო და დრო გამოცემისა სასულიერო ყურნალისა ბუნებითს ენაზედა. და თქუენ ჰირკულად აღმოგიბრწყინდათ ზეგარდამო მშვენიერი აზრი—და იწყეთ შესაფერი თქუენისა ნიჭისა და განათლებისა, გარნა თრიად ძნელი სალიტერატურო შრომა,—და აღმოხინდით ერთგულად და უსასყიდლოდ მშრომულად განვრცელებისა-თჳს სულიერისა განათლებისა, და განმთქენლად კეთილ-ზნეობითისა ცხოვრებისა სამღრდელო და საერო პირთა შორის სამშობლოასა თქუენისა ქუენისა. კეთილ-მსახური განზრახვა და სურვილი თქუენი ღირსი არს მიბაძვისა; მწყემსობრივი ღვაწლი და მოქმედება თქუენი უკუფითურთ გონიერი არს. თქუენი « სასულიერო მახარებელი »—საქმე კეთილია.

მე მაქუეს ჩვეულება და მომწონს გაცში უკუელივე ზნეობითი, კეთილი და მშვენიერი; და ამისთჳს მე დიდის სიამოვნებით მოგილოცავ თქუენ გამოსკლასა თქუენისა ყურნალისასა და ვისურვებ კეთილწარმატებასა ამ კეთილისა საქმისა-თჳს.

მწყემს-მთავრული კურთხევა მღალა-უკულად-უსამღრდელოესისა საქართველოს ექსარხოსისა ეკსეკისა, გარდამოცემული თქუენდა დაფუძნებასა ზედა ყურნალისასა, არის ცხადი ნიშანი უნილავისა ღრთისა კურთხევისა.

უკუფით გუფით ვისურვებ, რათა ნათელმან ღრთისა მადლისმან, კედრებისა-მებრ თქუენისა, განანათლოს გუფი და გონება თქუენი, განახრძნოს, განამტკიცოს და განაცხოველოს ძალნი თქუენნი აღსრულებად



დაწებულისა თქუნი მიერ შრომისა, განსაკრებელად სულიერისა განათლებისა სასარგებლოდ და საცხოვნებელად მოუყასთა.

მე ვგონებ, რომელ ჩინებულნი საქართუნილას თავად-აზნაურნი, მოუყარულნი საწმუნოებისა და ეკლესიისა, სცნობენ დიდსა მნიშვნელობასა თქუნიისა ყურნაღისასა და აღმოგიჩენენ თქუნი შემწეობასა განკრებულისა-თჳს მისა.

მე დაწმუნებულნი ვარ, რომელ პატრივტიული სამღუდელთა საქართუნილას, ქებულნი მრავალთა კეთილთა თჳსებითა და ძველებურითა სათნებითა, დაათჳსებს ამა შრომასა, სინაჩულოთ გამოიწერს ყურნაღსა თქუნიისა და სიტუბებით იკითხავს სასიამოვნოსა და სასარგებლოსა სტატუებსა მისა.

მე მიუვარს სამღუდელთა საქართუნილასა ჭეშმარიტითა სიყუარულთა და პატავს-ვისტემ მას, რომელსა თჳთცა ეკუთვნის ანუ ვაკუთვნი თავსა ჩემსა, — და ამისთჳს მოგიძღვნი მე ყოველთა მათთაგან გულოთაღსა მადლობასა შრომისა თქუნიისა-თჳს.

სახელსა თქუნიისა ეკუთვნის პატრივი და ჩინებულნი ადგილი საქართუნილას სასულიერო ლიტერატურის ინტერესისა შინა. მაგრამ რა არის დიდება ქუნიური ზეცურისა დიდებისა-თანა? «ღირს არს მოქმედი სასულიერისა თჳსისა»!...

გმადლობ თქუნი, მ. გიორგი, გამოგზავნიისათჳს ივლისის და აგვისტოს წიგნისა, მე სიამოვნებით წავიკითხე და ამ სტუბა რუსულს ენაზედ, და ვინატრე ცოდნა ქართულისა ენისა, რომ შემძლებოდა სასარგებლობა თქუნიითა ყურნაღითა მთარგმნელისა შეუწყნებლად.

კონკრეტ ჩამწეროთ მეცა ჩიტხუთა შორის თქუნი ყურნაღზედ ხელის მომწერთა, და მიიღოთ ჩემგან ხუთი მანეთი — მისი წლის თჳსი.

თქუნი მორჩილი მოსამსახურე დეკანოზი  
სტეფანე გუმილევსკი.

იხ-ს აგვისტოს,  
ჩუად წ.  
ტფილისი.



ლექსად თქმული საგალობელი ყოვლად-წმიდისა ღმრთის-  
მშობელისა. (\*)



გ ა ლ ო ბ ა ა.

ცემა ქნარისა, შენთვის არს დაუთისა  
ასულო ყრმაავ, მისა ქმნილო შობად ღმრთისა.  
ისმინე წმიდავ, სიტყუა ანგელოსისა,  
შენდა მოსრულის, გაბრედე წესთ-მთავრისა,  
რომელ გახარებს, შობად ხარ მაცხოვრისა.


---

(\*) ლექსად თქმული საგალობელი ესე ყოვლად-წმიდისა ღმრთის-მშობ-  
ლისადმი, ქმნილ-არს რეგორც ჭსჩანს ბოლოს აკროსტიხურთა ლექსთა  
კიდურ-წერილობისაგან, ბერის ნიკოლოზის მიერ, რომელი უფუიდა  
უცხო პიიტეოსი. ი. ს.


ამ სუდა-წარწერილობით მივიღეთ ჩვენ ეს სტატია უ. ი. სულხანო-  
ვისაგან; მაგრამ ვინ იყო აღნიშნული აქა ბერი ნიკოლოზი—არა უწყით.  
თითქმის ყოველი აზრი ამ საგალობელისა შეიჭვის ღმრთის-მშობლის  
დაუფდომელში, და ნიკოლოზს ეკუთვნის შრომა და პატრივი შემკობისა  
და შეწყობისა მათისა ლექსად, მშვენიერად და ტკბილ-გასაგონად, ვისა-  
ცა მხოლოდ ესმის ძველი ქართული ვნის კილო და მნიშვნელობა.



მხიარულ-ქმნილი მოგითხრობ მოჭყავ უერი,  
ისმინე ჩემი, მაქვს სიტუა ზეციური,  
საკვირვ სმენად, ჩემდაცა უცნაური:  
ღმერთსა ჭმობ კაცებრ, სიტუა არს საცნაური,  
მერწმუნე თქმასა, არა არს სამნაური.



ვით ანგელოსო? მითხარ განცხადებული;  
რასა მაცთუნებ, ანგელოს წოდებული;  
რას მაგას მეტეუ, ჭარბი მაქუს იჭუჭბული;  
ქალწულმან ვით ვჭმუს ხორცი შეზავებული?  
ანუ მაცთურ ხარ, ან ხმა არს დიდებული.



რასათვის ესრეთ ერძაავ უკულებელს მეოფ?  
რასათვის ესრეთ თქმათა ჩემთა უარ ჭეოფ?  
მე მოხარული ვჭხედავ, და ესრეთ ცხად-ვჭეოფ,  
კადნიერ იქმენ, გრწმენეს და ნუ უარ ჭეოფ,  
დედა ხარ ღუთისა, სოფელსა კურთხეულ-ჭეოფ.





გ ა ლ ი ა ბ ა ბ.

მოაკლდა ზირველ მთავარი იუდასკან.  
ვიცი იქმნების, მისულ ნათესავისკან  
მთავარი დიდი, მხსნელი ჩუწნი წუევისკან.  
მაგრამ მარქუ: ვითარ არს შობა ქალწულისკან?  
მეძინის კუაღად, არა ვჰსცთე მოკითხვისკან.

\* \* \*

ექებ შენ ცნობას, ვითარ ვჰმულ ქალწულმან;  
მე არა ვუწუი, რაიმე გრქუა მოსრულმან.  
მიუწოდოდე არს, ვერ ჰსცნას დაბადებულმან;  
გარნა თუთ მანულ გაკრილოს წმიდა სულმან  
და ღმერთი სრული, ჰმულ წმიდად დადგრომილმან.


\* \* \*

ესრეთცა ზირველ ევა ჰსცთა ეშმაკისკან,  
შეიწენარა რა უწუება მაცთურისკან.  
მეცა ეკრეთულ, მეძინის მოკითხვისკან:  
უცხოა რასმე იტუვი შენ რწმუნებისკან  
ქალწულისკან, შობა ძნელ ბუნებისკან.

\* \* \*



წინა-მდგომელი, ღუთისა მოვლინებულ ვარ,  
სამღთოს განზრახვს, შენდა მაუწყებელ ვარ;  
ნუ კვდების ჩემგან, მე შენ მიერ კვდებულ ვარ;  
მე ნუ შეკრძალები, მე თვით შენგან კრძალებულ ვარ,  
არა მაცთური, არამედ ჭკმძარბიტ ვარ.



გ ა ლ ბ ა ბ

რომელი მესმა ზირველვე საიდუმლო  
წინა მეთ ჭვათავან ცხად ქმნილი აწ ვინილო.  
გარნა მარქუ: ვითარ სხეულსა უსხეულო  
შეესაჴების ან რა-არს საიდუმლო?  
დამარწმუნე შენ წარმოდგომილო სულო.



ცხად არს შენდამო მაუჭალო შეუწყნელი;  
შენდა მოწამედ არს მოსე თვით მხილველი;  
მომასწავებლად შენდა არს სახე მუწლი,  
და კიდობანი უოველთა სახედრული  
სულ შენნი იუწყნენ ქაღწულო დამსახული:





ჟი გაბრიელი, საკრწლ სიტუა შენი!  
ჟი ანგელოს, საცუროა ხმა შენი!  
ჟი მთავარი, მაღალ-არს ჭასრი შენი!  
ვერ გულისკმა-გჭყავ, რად არს მოსლუა შენი.  
მარქუ, ქალმან ვით გჭმუა უყამო ღმერთი შენი?

\* \*  
\*

ვითარ ზირველ გარქუ, სიტუა გარდამოვიდეს,  
ვითარ საწმისსა, ცუარი შენდა მოვიდეს,  
მაგრლობელად სული წმიდა გფარვდეს,  
შობილი შენგან ვითარ კაცი გზრახვდეს,  
მებრ ვითარ ზირველ წინა მეთქუნი სახვდეს.

\* \*  
\*


გ ა ლ ო ბ ა დ.

ვერ შექმლელ-ვარ, თქმულთა შენთა რწმუნებად,  
ნუ უკრწ კდებულს შექმრაცხოს ცთუნებად.  
საქმენი იქმნეს, სასწაულნი ბუნებად;  
კლდისა ხმელისა გარდაქცევა მწუჟრნებად.  
გარნა მნიად მიხნს შობა ღუთისა რწმუნებად.


\* \*  
\*




დამიკვირდების, რად ეგრეთ იწებ სიტყუად;  
საიდუმლოსა ეძიებ თუაღით ხილუად.  
შიშით კდემულ-ვარ, არ ძაღმძის შენდა სიტყუად.  
გრწმენეს ქაღწულო, შენგან არს ღმერთი შობად.  
ხსნად ადამისა, და ეშმაკთ ლახუარ-სობად.



მეც განმაკვრვა, სიტყუათა ძაღმან.  
რას ძავას მეტუ: მე ჭმულო შენ ქაღწულმან;  
დაძაღებელი, მისგან დაძაღებულმან,  
და შემოქმედი, მიწამ მისგან შექმნულმან.  
მეშინის რა ვჭყო, მე შენგან შიშნეულმან:




ჴი უთაღავ! ისმინე, მოჭყავ უური;  
დაუთისადმი აღთქმა არს საცნაური,  
დაჯდომს საუღრად, რომლისა ვარ მსახური,  
შენ ხარ ქაღწული, წმიდა იაკობური.  
ქალი ასული, სოლომონ სირებული:






გ ა ლ ო ბ ა ე.

ჟი ანგელოს, საკვირველ ხილუა შენი!  
ჟი მთავარო, აჭა მკევალი შენი.  
სარწმუნო ქმნილ ვარ, მეუავნ მე სიტუა შენი.  
არა ცუდად-არს, ხარება ეკე შენი,  
სიხარულითა აღვსებულსა მრწამს შენი:



გიხაროდენსა მოგართუამ, დიდებულო!  
გიხაროდენ შენ, სძლად ღუთისად წოდებულო!  
გიხაროდენ ზესთ, დედად ღუთისად სმობილო!  
გიხაროდენ აწ, მადლითა შემკობილო!  
და გიხაროდენ, დავითისა ძნობილო!




არა უარ-გჭყოფ, რომელ დედა ვარ ღუთისა;  
ქალწული წმიდა, უთესლოდ მშობელ მისა;  
დამსსნელი წევვის, მამისა ადამისა.  
მუცლად ღებული, თჳნიერ მიდგომისა  
კაცებრ ვჭმობ ღმერთისა, მკურნალ ვარ ბუნებისა.






აღუთქუა ღმერთმან, წინათჴს აბრამსა,  
განგმრავლებო, ნათესავსა მართალსა,  
შენგან კურთხევას მივსცემო, წარმართთ ერსა,  
მაშინ აღსრულდეს, სიტყუაჲ წმიდა ღჴთისა,  
შენგან რა იძჴს, ნაყოფი კურთხევისა:



გ ა ლ ო ბ ა გ

მეტეჴ გაბრიელ, ხარებასა მართალსა;  
უნუთოისა, ნიუთადმი ზაუებასა;  
მივიღებ შენგან კურთხევისა თხრობასა;  
მრწამს ღჴთისა მიერ, განამტრობს კაცებასა,  
და განგვიახლებს ზირველსა არსებასა.




გეტეჴო ქალწულო, გიხაროდენსა კვალად;  
ზენა გიწეიეს აღსლჴა ძალითი ძალად,  
ღჴთისა კარავსა გწამებ ცეცხლისა აღად,  
სოფლის მანათად, მიუწოდო მისსა თვალად,  
აღამის მხსნელად, ევას კურთხევად კვალად.
